საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

Ministry of Education and Science of Georgia
Khashuri Education Resource Centre

MES 2 16 01116610

21/09/2016

სსიპ ქალაქ ხაშურის N4 საჯარო სკოლას

თქვენი მიმდინარე წლის 19 სექტემბრის N 1092668 წერილის პასუხად გიგზავნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენციას N 1113458 (21/09/2016) , საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თანახმაა სსიპ ქალაქ ხაშურის N4 საჯარო სკოლამ ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობის ჩამოწერა და დემონტაჟი განახორციელოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის თანხმობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2010წ. 22 მარტის N82 და 2010წ. 13 აგვისტოს N239 დადგენილებებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

პატივისცემით,

ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ზვიად გოგუაძე

ხაშური, ტაბიძის ქ. N2, 5700. ტელ: (0368) 240851; (0368)242951 ელ. ფოსტა: khashuri@mes.gov.ge
2 Tabidze Street, Khashuri, Georgia, 5700. Phone: (0368) 240851; (0368)242951 Email: khashuri@mes.gov.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 9 16 01113458

21/09/2016

ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი 20/09/2016 წლის N1104848 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ ქალაქ ხაშურის N4 საჯარო სკოლამ, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 11/07/2016წ. N855288 წერილის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობის ჩამოწერა და დემონტაჟი განახორციელოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის თანხმობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2010წ. 22 მარტის N82 და 2010წ. 13 აგვისტოს N239 დადგენილებებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სადემონტაჟო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შენობის დემონტაჟთან დაკავშირებული ყველა ეტაპი და საორგანიზაციო საკითხები უნდა შეთანხმდეს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.

ამასთან, გაცნობებთ, რომ დემონტაჟის დასრულების შემდგომ, საჯარო სკოლამ უნდა განახორციელოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა) და ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის შემდგომ დაგეგმილია მშენებლობის პროცესი, ზემომოთხოვნილი ცვლილებები უნდა განხორციელდეს მშენებლობის პროცესის დასრულების შემდეგ და სამინისტროში წარმოდგენილ იქნას საჭირო დოკუმენტაცია.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32)2 200 220

ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ლაშა საღინაძე

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

MES 2 16 00855288

11/07/2016

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ ქეთევან ნატრიაშვილს

ქალბატონო ქეთევან,

მოგახსენებთ, რომ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან შემოვიდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის სამმართველოს უფროსის, ქალბატონი მაია გედევანიშვილის წერილი №10-2/6754, 24.06.2016წ. (რეგისტრაციის №785325, 28.06.2016წ.) რომელიც ეხება სსიპ ქალაქ ხაშურის №4 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურულ პრობლემებს. სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ კომპეტენციის ფარგლებში განიხილა აღნიშნული საკითხი.

შედეგად გაცნობებთ, რომ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელდა სსიპ ქალაქ ხაშურის №4 საჯარო სკოლის ტექნიკური მდგომარეობის ადგილზე შესწავლა. სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, სააგენტომ მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მოთხოვნით, დაედგინა სსიპ ქალაქ ხაშურის №4 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების რენტაბელობა.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N001398916 (იხ. მიბმული ფაილი) დასკვნის მიხედვით, სსიპ ქალაქ ხაშურის №4 საჯარო სკოლის შენობის ავარიული I ფლიგელის აღდგენა ჩათვლილია არარენტაბელურად, რასაც სააგენტო ეთანხმება. შენობის I ფლიგელში უნდა შეწყდეს სასწავლო პროცესი და ჩატარდეს მისი დემონტაჟი. სააგენტოში დაგეგმილია სკოლის შენობის II და III ფლიგელის რეაბილიტაცია. ამ ორი ფლიგელის შეერთების ზონაში შენობის საძირკვლების არათანაბარი ჯდენითი დეფორმაციის გამო დაბზარულია კედლები. სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე მიზანშეწონილია საძირკვლების გაძლიერების სამუშაოების განხორციელება. საძირკვლების გაძლიერების სამუშაოების დასრულების შემდეგ დაიწყება სკოლის შენობის დაბზარული კედლების გამაგრებისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
თბილისი 0160, მერაბ ალექსიძის ქ. №1, შენობა-ნაგებობა №1, სართული 2
ცხელი ხაზი, ტელ/ Tel.:(+995)220 0 220 2023;
www.esida.ge E-mail: info@esida.ge

სკოლაში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სააგენტოს თანამშრომლებმა სსიპ ქალაქ ხაშურის №4 საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს (მიმდინარე წლის 25 აპრილს) გააფრთხილეს სკოლის დირექცია, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყო შენობის ჭერიდან მორყეული ნალესის (ბათქაში) ჩამოყრა. ბიბლიოთეკის ოთახში, სადაც მოხდა ინციდენტი, სკოლის თანამშრომელმა, სააგენტოს თანამშრომლების თვალწინ ჩამოყარა მორყეული ნალესის ნაწილი. ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე სკოლის შენობაში ჭერის მორყეული ნალესის მთლიანად ჩამოყრა აუცილებელია.

ამ ეტაპზე სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მიმდინარეობს სსიპ ქალაქ ხაშურის №4 საჯარო სკოლის შენობის ავარიული I ფლიგელის დემონტაჟის პროექტის შემუშავება. ასევე, სააგენტოს მიერ გამოცხადებულია ტენდერი გამაგრებითი სამუშაოების შესყიდვაზე SPA 160019338, რომლის დასრულების ვადად განსაზღვრულია მიმდინარე წლის 27 ივლისი. გამაგრებითი სამუშაოების შემდეგ განხორციელდება სსიპ ქალაქ ხაშურის №4 საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
დირექტორის პირველი მოადგილე
გიორგი შალუტაშვილი